

მე-5 კლასი

ძირითადი დავალებები (50 ქულა)

- როგორ შეიცვლება სამკუთხედის პერიმეტრი, თუ მის ერთ გვერდს გავზრდით 6 სმ-ით, მეორეს შევამცირებთ 10სმ-ით, ხოლო მესამეს გავზრდით 5სმ-ით? (4 ქულა)
A) არ შეიცვლება B) გაიზრდება 21სმ-ით C) გაიზრდება 1 სმ-ით.
- უდიდესი ორნიშნა რიცხვი გაზარდეს უმცირესი სამნიშნა რიცხვით. ჩამოთვლილთაგან რომელია მიღებული რიცხვი? (4 ქულა)
A) 199 B) 1098 C) 900
- ჩამოთვლილთაგან უმცირესი რიცხვი, რომელიც მეტია 5 x 22-ზე არის: (4 ქულა)
A) 111 B) 110 C) 109
- ამოხსენით განტოლება: $3x + (3 + 9) * 2 = 60$ (5 ქულა)
A) 4 B) 12 C) 28
- გიოსა და ნიკას ასაკთა ჯამი 32 წელია. რისი ტოლი იქნება მათი ასაკთა ჯამი 5 წლის შემდეგ? (5 ქულა)
A) 37 B) 39 C) 42
- ლუკამ დახატა ერთი სამკუთხედი და სამი ოთკუთხედი. ნიკამ - სამი სამკუთხედი და ერთი ხუთკუთხედი. ჯამში ვის დახატულ ფიგურებს აქვს უფრო მეტი გვერდი და რამდენით? (5 ქულა)
A) ლუკას 1-ით B) ნიკას 3-ით C) ნიკას 1-ით
- კენტია თუ ლუწი ორი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი? (5 ქულა)
A) ლუწია B) ზოგჯერ კენტია, ზოგჯერ ლუწი C) კენტია
- რამდენი ოთკუთხედია სურათზე: (6 ქულა)



- A) 25 B) 29 C) 27
- A ქალაქიდან B ქალაქამდე 15 კილომეტრია, B ქალაქიდან C ქალაქამდე - 5 კილომეტრი. რა მანძილითაა დაშორებული C ქალაქი A ქალაქიდან? (6 ქულა)
A) 20 B) 10 C) ვერ დავადგენთ
 - ალექსანდრემ გაიარა 8 კილომეტრი. აღმოჩნდა, რომ კიდევ 4 კილომეტრის გავლის შემდეგ, მას გასავლელი განვლილი გზის მეოთხედი დარჩება. იპოვეთ მთელი გზის სიგრძე. (6 ქულა)
A) 15 B) 14 C) 13

ბონუს დავალებები (8 ქულა) - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

- ნიკამ აღმოაჩინა, რომ გასულ წელს ყოველდღიური ჯიბის ფულით შეეძლო 4 ნაყინის ყიდვა, წელს კი ზუსტად იმავე თანხით მხოლოდ 3 ნაყინის ყიდვა შეუძლია. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? (4 ქულა)
A) გასულ წელთან შედარებით ნაყინი გაძვირდა B) გასულ წელთან შედარებით ნაყინი გაიაფდა
C) გასულ წელთან შედარებით ნიკას ნაკლებად უყვარს ნაყინი
- მარიამს მამა ყოველდღე ჯიბის ფულს, 5 ლარს აძლევს, ბებია კი მას დამატებით ჩუქნის 3 ლარს. მარიამის აუცილებელ ხარჯებია: მობილური ტელეფონით სარგებლობის საფასური - დღეში 50 თეთრი, ტრანსპორტის ხარჯი ყოველდღიურად - 1 ლარი და 50 თეთრი, საკვების ხარჯი ყოველდღიურად - 2 ლარი და 50 თეთრი. თუკი მარიამს სურს ყოველდღე 1 ლარის დაზოგვა, რამდენი ლარის დახარჯვა შეუძლია არააუცილებელ ხარჯებზე (მაგ. შოკოლადებზე და კანფეტებზე)? (4 ქულა)
A) 3 ლარი და 50 თეთრი B) 4 ლარი C) 2 ლარი და 50 თეთრი